Ramin Tsinaridze
ramin.tsinaridze@bsu.edu.ge
PhD of Business Administration, Associate Professor
BSU (Batumi Shota Rustaveli State University)
Georgia, Batumi
Giorgi Rizhvadze
giorgirijvadze@gmail.com
PHD student of Business Administration,
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi
https://doi.org/10.46361/2449-2604.10.1.2023.48-65

Foreign Direct Investments in the Conditions of the COVID-19 Pandemic: Georgia-EU Relations

Purpose. *Analysis of foreign direct investment motivations and assessment of their impact on Georgia's economy, under the conditions of the COVID-19 pandemic, as well as analysis of Georgia's EU investment relations and determination of future prospects.*

Methodology/approach*. The methodological basis of the paper is the fundamental research of economic science. Georgian or foreign language scientific articles, works and studies are used in the research, the material used in the research is based on the data of the Ministry of Finance of Georgia, the Ministry of Economy and Sustainable Development, and the National Statistics Service. Qualitative and statistical methods, data from international organizations are used in the research, this research is mainly based on information collection, comparison, study and analysis.*

Research tasks. *The main tasks and hypotheses of the research can be formulated as follows: the effect of the inflow of foreign direct investments on the stability of the exchange rate of the lari, Determination of factors affecting GDP and economic growth.*

Practical value / results. *Research results and conclusions can be used in higher education as a guide material. In addition, it will significantly help the government institutions in determining the course of the country's economic development, its adjustment and processing specific issues of realization.*

Keywords: *COVID-19 pandemic, foreign direct investments, Georgia European-Union, decrease and increase of foreign investment, crises.*

JEL classification: E22; F36; F66; G11

რამინ ცინარიძე
ramin.tsinaridze@bsu.edu.ge
ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი
შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი
გიორგი რიჟვაძე
giorgirijvadze@gmail.com
დოქტორანტი, სპეციალობა ბიზნესის ადმინისტრირება
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები COVID-19 პანდემიის პირობებში: საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები

კვლევის მიზანი. *პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციების ანალიზი და მათი გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე, COVID-19 პანდემიის პირობებში ასევე საქართველო ევროკავშირის საინვესტიციო ურთიერთობების ანალიზი და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა.*

მეთოდოლოგია/მიდგომა. *ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტალური გამოკვლევები. ნაშრომში გამოყენებულია ქართული თუ უცხოენოვანი სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები და კვლევები, კვლევაში გამოყენებული მასალა ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი და სტატისტიკური მეთოდები, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები, მოცემული კვლევა ძირითადად ეყრდნობა ინფორმაციის შეგროვებას, შედარებას, შესწავლასა და ანალიზს.*

კვლევის ამოცანები. *კვლევის ძირითადი ამოცანები და ჰიპოთეზები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ევროკავშირიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ეფექტი ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე, მშპს და ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორის განსაზღვრა .*

პრაქტიკული ღირებულება / შედეგები. *კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც სახელმძღვანელო მასალა. ამასთან, იგი მნიშვნელოვნად დაეხმარება სამთავრობო ინსტიტუტებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კურსის განსაზღვრის, მისი კორექტირებისა და რეალიზაციის კონკრეტული საკითხების დამუშავებისას.*

საკვანძო სიტყვები: *COVID-19 პანდემია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველო - ევროკავშირი, უცხოური ინვესტიციების შემცირება და ზრდა, კრიზისები.*

JEL კლასიფიკაცია:*E22; F36; F66; G11*

შესავალი

უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე აღიარებული და დადასტურებულია როგორც, თეორიული, ასევე პრატქიკული მიდგომებითაც. ინვესტიციების მნიშვნელობა განსაკუთრებულია გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკებისათვის, რამეთუ მოსახლეობაში დაბალი შემოსავლები, დანაზოგების სიმცირე ვერ ასტიმულირებს ეკონომიკურ პროგრესს, რომლის დროსაც საჭიროა უცხოური კაპიტალის შემოდინება, რაც დამატებითი ფულადი რესურების ხარჯზე ქმნის ეკონომიკურ ერთეულს (საქონელი) და აღნიშნული პროცესი თავის არსით სხვადსხვა ეფექტის მატარებელია, კერძოდ დასაქმების ზრდა, მოსახლეობაში შემოსავლების გაზრდა, მეტი გადასახადები და სხვა ეკონომიკური თუ სოციალური ეფექტი. შესაბამისად, ასეთი პროცესი საქართველოსთვის გარდაუვლად საჭიროა.

უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მოქმედი ფაქტორები განსხავებულია და დამოკიდებულია საერთო-ეკონომიკურ და კორპორაციულ ფაქტორებზე, რომელიც გამომდინარეობს, არამარტო ქვეყნის შიდა ეკონომიკური პოლიტიკიდან, არამედ მსოფლიო ტენდენციებიდანაც, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და მისი პოპულარიზაცია, ხშირად სახელმწიფოების გამოწვევად რჩება.

უცხოური ინვესტიციების დადებითი მოქმედება აისახება ასევე ქვეყნის სავალუტო კურსის ცვლილებაზე, რაც საქართვლოს მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, ამიტომ თანამედროვე სამყაროში ქვეყნები ცდილობენ შექმნან ისეთი გარემო-ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალის შემოდინებას დინამიკურად და მას ექნება პროგრესული ხასიათი.

რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვა. დავით სიხარულიძე, ვახტან ჭარაია ნაშრომში „OLI პარადიგმა და საქართველოს საინვესტიციო პოზიცია“ აღნიშნავს, რომ „ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მაღალგანვითარებული ქვეყნების კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის რაოდენობის ზრდით აიხსნება. ამავე დროს მუდმივად იზრდება ინვესტიციები განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებიდან, ვინაიდან კონკურენცია და ეკონომიკური ზრდა და სხვა განვითარებად ეკონომიკებში მათ კომპანიებს სხვა ქვეყნებში გაფართოებისაკენ უბიძგებს“. **(Sikharulidze et al., 2018)**

რამინ ცინარიძე, ნინო მახარაძე ნაშრომში „ეროვნულ ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის კორელაციური ანალიზი“ მიიჩნევს, რომ როგორც ევროკავშირიდან, ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონიდან შემოსული „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა დიდია არა მარტო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე არამედ ზოგადად მოქალაქეთა ცხოვრების დონეზე. განსაკუთრებით დიდია გავლენა დასაქმებაზე, მშპ-ზე და სავაჭრო ბალანსზე“. **(Tsinaridze et al., 2023)**

უცხოური ინვესტიციები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფრასტრუქტურის აღდგენა, განახლებასა და შექმნაში, რაც საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის აუცილებელია. **(Rizhvadze., 2019**)

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი მერსი ტემბონი საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციას აფასებს. მერსი ტემბონი ამბობს, საქართველო მსოფლიოს ნაწილია და გარე ფაქტორები მასზე ზეგავლენას ახდენენ. მისი თქმით, მთავარია, რომ ტრენდი პოზიტიური იყოს და ეს ასეც არის. „საქართველო კუნძული არ არის, ეს არის ქვეყანა, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიოსთან; თუ საგარეო ფაქტორებში რაიმე ხდება, თავისთავად ამას აქვს გავლენა ქვეყანაზე. პირველ კვარტალში შეიძლება იყოს დაცემა, მეორე კვარტალში - ისევ ზრდა. მთავარი ამ შემთხვევაში არის ტრენდი. არის ის პოზიტიური? დიახ, არის და ეს არის მნიშვნელოვანი. ასე რომ, დაცემა და ზრდა, გამომდინარეობს არა კონკრეტულად საქართველოდან, არამედ მისი სამეზობლოდან, მისი სავაჭრო პარტნიორებიდან. მთავარია, იყოთ ყურადღებით და ვიცი, ქართველი ხალხი ასეც იქცევა". **(Mechvarishvili., 2019)**

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში, განსაკუთრებით ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შემდეგ, მონაწილეობის დონის ერთ-ერთ მაჩვენებელს უცხოური ინვესტიციების გამოყენება წარმოადგენს. ეს მაჩვენებელი თავის მხრივ გამოხატავს ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ამჟამინდელ შედეგებს და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ტენდენციებს. „განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის მწარმოებელ დარგებში ინვესტიციური რესურსების დაბანდება, სხვა თანაბარ პირობებში, ხელს უწყობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, უმუშევრობის შემცირებას, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მის ცივილიზებულ ჩართვას". **(Tsinaridze et al., 2018)**

ძირითადი ნაწილი

ზოგადად, უცხოური ინვესტიციები გავლენას ახდენენ ქვეყანაში ჩამოყალიბებული კონკურენციის პირობებზე. ამიტომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ინვესტიციების გამოყენების სტრატეგია, წინასწარ პროგნოზირებული უნდა იყოს თუ რა გავლენას მოახდენს ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაზე, მაკროეკონომიკურ პროპორციებზე, საერთოდ სტაბილურობაზე. სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი დანიშნულებაა იმ ფაქტორების გამოკვეთა და ანალიზი რომელიც ზეგავლენას ახდენს საქართველო ევროკავშირის საინვესტიციო ურთიერთობებზე COVID-19 პანდემიის პირობებში და მისი ეფექტების განსაზღვრა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე.

ინვესტიციების შემოდინების დროს მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს სწორი საინვესტიციო პოლიტიკა და დარეგულირებული იყოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით უცხოურ ინვესტიციებზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები; საგადასახადო შეღავათები, შეღავათიანი საიმპორტო ტარიფები, უცხოური პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების გამარტივებული წესები.

ინვესტიციები თავისთავად გულისხმობს ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს შემოდინებას, კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებული ახალი ცოდნის და გამოცდილების შემოდინებას, რომელიც შემდგომში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინვესტიციის მიმღები ქვეყნის კადრების პროფესიონალიზმის ამაღლებაში. ბოლო წლების ტენდენციების შესაბამისად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა დადებითად მოქმედებს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე და მათ შორის არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს, სადაც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან სხვადასხვა მიმართულებით მთ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების კუთხი განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას. **(Rizhvadze et al., 2019)**

COVID-19-ის პანდემიის ნეგატიური შედეგების შემსუბუქებისა და ეკონომიკის პოსტპანდემიური სწრაფი აღდგენის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ბიზნესის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას. **(Ministry of Finance of Georgia, 2022-2025)**

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მსგავს ქვეყნებს საშუალებას აძლევს გავიდნენ გლობალურ ბაზრებზე, შექმნან სამუშაო ადგილები, გაზარდონ ექსპორტი და წაახალისონ ახალი ტექნოლოგიებისა და ბიზნეს პრაქტიკის დანერგვა. 2017 წლიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. უფრო მეტიც, COVID-19-ის პანდემიის გამო, სხვა ქვეყნების მსგავსად 2020 წელს, <u>ინვესტიციები წინა წელთან შედარებით თითქმის განახევრდა.</u> ახლა, პანდემიის შედეგების ფონზე, ინვესტიციების ნაკადის აღდგენა საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. **(National Statistical Service of Georgia, 2022)**

„ინვესტიციების მოზიდვის სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზანმიმართულ რეფორმებს, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყნის სტრატეგია ინვესტორების მოთხოვნებს უკეთ მოერგოს. სწორედ ეს ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციები არის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა“, - განაცხადა IFC-ის რეგიონულმა მენეჯერმა სამხრეთ კავკასიაში ივანა ფერნანდეს დუარტემ. **(International Finance Corporation, 2022)**

დიაგრამა 1. მშპ და ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულება



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მოცემულ დიაგრამაზე ნათალდ ჩანს, რომ მშპ-ს ზრდის პარალელურად ასახვას პოვებს ეკონომიკურ ზრდაზე, რაც თავის მხვრივ დადებით გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საინვესტიციო ნაკადების აღდგენის მხვრივ საქართველოს მთავრობის მიერ 2021 – 2025 წლებისთვის შემუშავდა „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია“, რომელიც დაეფუძნება ევროპის „მცირე ბიზნესის აქტის“ უმთავრეს პრინციპს. გაძლიერდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობის პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც დამტკიცდა საინვესტიციო გრანტების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების შემდეგ ინვესტორი კომპანიებისთვის კვალიფიციური ხარჯების ანაზღაურებას. მექანიზმი მაღალტექნოლოგიურ წარმოებას, სერვისების ექსპორტს, ლოგისტიკისა და თვითმფრინავების მომსახურების სფეროებს დაფარავს. გარდა ამისა, შეიცვალა და ახლებურად გაგრძელდება ინვესტორებთან მუშაობისა და კომუნიკაციის პროცესი. სააგენტომ დაიწყო მუშაობა ე. წ. ლოკაციების სკაუტებთან. განხორციელდა წამყვანი ლოკაციის კონსულტანტების იდენტიფიცირება და, პანდემიის მიუხედავად, უკვე დაწყებულია მათი საქართველოში ჩამოყვანა. განხორციელდა და მომავალშიც გაგრძელდება პოტენციური ინვესტორების პროფილირება, რომლებთანაც მიმდინარეობს პირდაპირი კომუნიკაცია მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობით.

საქართველოს ეკონომიკა COVID-19-ის პანდემიის შოკიდან სწრაფად ჯანმრთელდებოდა და ზრდის მაღალ ტემპს ინარჩუნებდა რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე.

2021 წელს საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 10,4 პროცენტს მიაღწია. ომისა და სანქციების უარყოფითი შედეგები საქართველოს ეკონომიკასაც გადმოეცემა და 2022 წლის მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 3 პროცენტამდე მცირდება, მოსალოდნელი ინფლაცია იზრდება და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ღრმავდება. ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებული გაურკვევლობით ხასიათდება. საქართველოს ეკონომიკამ წარსულში მდგრადობა გამოავლინა და, მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში გატარებული პოლიტიკის შედეგად, 2023 წლიდან ეკონომიკის ზრდის ტემპისა და სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას ველით. **(International Monetary Fund, 2022)**

დიაგრამა 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ლარის გაცვლითი კურსის ურთიერთდამოკიდებულების დინამიკა 2006 – 2022წწ.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

კოვიდ პანდემიამ ნათლად დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანია დაიგეგმოს და განხორციელდეს ისეთი ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც ქვეყნებს მისცემს შესაძლებლობას კრიზისის პერიოდშიც შეუფერხებლად შეძლოს ქვეყანამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ერთის მხვრივ შეიძლება აკუმულირებული იყოს ერთ რომელიმე სეგმენტში მაგ: ჯანდაცვაში, რომელიც კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლის მატარებელია.

აგრეთვე მნიშვნელოვანია თამამი საინვესტიციო პაკეტის შემუშავება, პანდემიამ ეკონომიკური აქტივობის მკვეთრად შენელება გამოიწვია, პანდემიამ იმგვარი ზიანი მიაყენა მსოფლიოზე, რომ ბევრისთვის ეს სრული მოულოდნელობა იყო მითუმეტეს, რომ პანდემია წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე არის განმეორებადი, ეკონომიკისთვის მაინც

დამანგრეველი ეფექტის მომტანი აღმოჩნდა, მან გავლენა იქონია ცხოვრებისეულ ყველა ასპექტზე.

საერთაშორისო დონეზე პანდემიამ დააზარალა უკლებლივ ყველა სფერო, რამაც ინვესტიციები მკვეთრად შეამციარა.

დიაგრამა 3. მსოფლიო ინვესტიციების ტენდენცია 2005-2021 წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკი (შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით)

დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლარი ინარჩუნებს სტაბილურობას უცხოური ინვესტიციების ზრდის პარალელურად, თუმცა 2020 წელს როდესაც COVID-19-ის პანდემიის პირობებში ისევე როგორც მთელს მსოფლიოში ინვესტიციების ნაკადი მკვეთრად ეცემა საქართველოში შემცირებული ნაკადების პარალელურად ლარი კარგავს სტაბილურობას და საშუალო წლიური მაჩვენებელი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში შეადგენს 3.10, თუმცა იყო მომენტები როდესაც 3.50 ნიშნულსაც კი გადაცდა, შესაბამისად მონაცემები გვაძლებს ვარაუდის საფუძველს, რომ უცხოური ინვესტიციების შემოდინება გავლენას ახდენს ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე.

ცხრილი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2022 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022*
სულ	**1 039.2**	**1 837.0**	**1 728.8**	**1 654.0**	**1 990.5**	**1 351.5**	**1 352.2**	**589.8**	**1 241.8**	**1 675.6**
I კვ	291.8	331.9	343.4	392.9	415.0	337.3	318.4	173.8	134.3	576.9
II კვ	224.1	217.6	493.2	452.6	398.1	423.3	249.6	246.4	322.5	353.4
III კვ	271.6	749.5	531.1	507.8	637.0	373.0	406.2	296.9	373.9	745.3
IV კვ	251.6	538.0	361.0	300.6	540.5	218.0	378.0	-127.2	411.1	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია რომ უცხოური ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით 2015 წელს დაფიქსირად პიკი 2.75 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა შემდეგი წლები კი კლების ტენდენციით გამოირჩევა და 2018 წელს ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მცირე 927.11 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მომდევნო წელს როდესაც წინა წელთან შედარებით ზრდის ტენდენციები დაიწყო, ამას დაერთო, covid – 19, რომელმაც კიდევ უფრო გააუარესა არსებული მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად საქართველოში 2019 წლამდე გამოირჩეოდა უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპით და შეადგინა 1352.2 აშშ დოლარი ხოლო მომდევნო წელს ისევე, როგორც მთელ მსოფლიო საქართველოს თავს დაატყდა კოვიდ პანდემია რამაც შეაჩერა უცხოური ინვესტიციების შემოდინების დონე და შეადგინა 589.8 აშშ დოლარი შემდგომში კვლავ გაჯანსაღების ტენდენციები მიმდინარეობს და 2021 წელს შეადგინა 1 241.8 აშშ დოლარი, ხოლო 2022 წელის სამი კვარტლის მონაცემებით კიდევ უფრო გაუმჯობესდა უცხოური ინვესტიციების შემოდინების კუთხით არსებული მდგომარეობა და სამი კვარტლის წინასწარი მონაცემებით შეადგინა 1 675. 6 მილიონი აშშ დოლარი, აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წლის ბოლომდე შეიძლება გაორმაგდეს აღნიშნული მონაცემები, თუმცა უფრო მეტი სამუშაო იქნება განსახორციელებელი, რომ შევძლოთ და გადავუსწროთ პანდემიამდე პერიოდში არსებულ მონაცემებს, რომელიც თავის მხვრივ დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკას გაჯანსაღების პროცესში.

დიაგრამა 4. უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2022 წლის სამი კვარტალი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის III კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორში განხორციელდა და 265.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35.6 პროცენტია. მეორე ადგილს იკავებს საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორი - 159.0 მლნ. აშშ დოლარით (21.3 პროცენტი), ხოლო მესამეზე იმყოფება ხელოვნების, გართობის და დასვენების სექტორი 143.2 მლნ. აშშ დოლარით (19.2 პროცენტი).

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან შემოდინებული უცხოური ინვესტიციების ნაკადი 2020-2021 წლებში მკვეთრად არის შემცირებული, თუმცა კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს როგორც კი ეკონომიკამ დაიწყო გაჯანსაღების პროცესი გააქტიურდა ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა და ორი კვარტლის წინასწარი მონაცემებით შეადგინა 392 476.2 მილონი აშშ დოლარი, რაც გასული ორი წლის მონაცემებს რადიკალურად აუმჯობესებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან განხორციელებულ ინვესტიციებს 2022 წლის წინასწარი მონაცემებით პირველ სამეულში ლიდერობენ ესპანეთი, საიდანაც განხორციელდა 363,617 მლნ აშშ დოლარი, მას მოყვება ნიდერლანდები - 125,329 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ირლანდიიდან განხორციელდა 120,383 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია და შემდეგ დანარჩენი სახელმწიფოები.

აღსანიშნავია, რომ ინვესტორები ყოველთვის ეძებენ მშვიდ და სტაბილურ გარემოს შესაბამისად შეგვიძლია გამოვყოთ ინვესტიციების შემაფერხებელი ფაქტორები, ესენია:

- კონფლიქტური რეგიონების არსებობა;
- მუშახელის დაბალი კვალიფიკაციის დონე;
- გასაღების ბაზრის სიმცირე;
- კორუფციის მაღალი მაჩვენებელი;
- მაღალი გადასახადები;
- არასათანადო საკანონმდებლო ბაზა;
- გეოგრაფიული მდებარეობა.

შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებებმა უნდა იმუშავონ ხელისშემშლელი ფაქტორების დაძლევაზე, კარი გაუღონ და ხელი შუწყონ უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ყოვლისმომცველი ინდიკატორების სია, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას განაპირობებს, ისევე, როგორც არ არსებობს მისი ხელის შემშლელი ფაქტორების ზუსტად განსაზღვრული ჩამონათვალი. სხვადასხვა ფაქტორმა სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლებელია სხვადასხვაგვარი ეფექტი მოგვცეს, ან წარმოიქმნას ისეთი ფაქტორის ან ფაქტორთა ერთობლიობა, რომელთა ზეგავლენაც საინვესტიციო გარემოზე პრაქტიკულად შეუსწავლელია. COVID-19 პანდემიის გავრცელების შეზღუდვის მიზნით მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მთავრობამ მიმართა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მკაცრ ზომებს. ამ ზომებმა გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შეფერხებები, რაც, ცხადია, გავლენას ახდენს ფირმების უცხოეთში ინვესტირების გადაწყვეტილებებზე. **(Totladze et al., 2017)**

ცხრილი 2. ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციები 2018 – 2022 წწ (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნები	2018	2019	2020	2021	I კვ. 2022*	II კვ. 2022*	III კვ. 2022*
სულ	**1,351,529.7**	**1,352,181.7**	**589,798.1**	**1,241,821.7**	**576,896.0**	**353,424.4**	**745,257.4**
ევროკავშირის ქვეყნები (27)	**423,028.5**	**433,344.0**	**339,881.1**	**354,404.5**	**275,044.1**	**117,011.2**	**404,445.7**
ავსტრია	17,361.0	15,231.2	-10,654.0	7,514.5	-1,402.6	-949.4	4,193.8
ბელგია	3,482.8	1,522.7	4,873.0	8,204.8	748.7	146.6	3,423.0
ბულგარეთი	7,426.7	5,857.0	-1,739.2	2,377.9	779.2	3,222.6	1,524.8
ხორვატია	2,028.2	794.0	-326.7	6.3	126.4	83.3	-111.3
კვიპროსი	-86,382.3	24,449.7	-45,200.4	-18,224.7	-3,824.0	-1,628.9	-2,288.4
ჩეხეთი	77,696.0	18,280.2	-6,340.1	80,764.2	6,135.3	26,622.3	24,317.2
დანია	15,248.8	2,754.4	28,906.1	2,131.6	8,715.9	10,057.3	9,895.5
ესტონეთი	15,371.4	3,879.2	6,996.8	5,282.0	326.7	462.0	1,075.9
ფინეთი	53.5	2,216.4	731.3	790.9	-22.2	0.1	-356.2
საფრანგეთი	29,067.3	20,407.9	11,999.9	23,236.2	-1,919.4	4,609.5	1,887.8
გერმანია	41,127.1	23,880.2	36,598.8	36,168.4	9,105.0	8,888.1	7,896.2
საბერძნეთი	1,971.7	1,286.6	2,934.2	2,036.9	295.9	783.0	578.2
უნგრეთი	1,465.4	2,735.9	1,369.0	3,978.8	530.7	465.6	784.6
ირლანდია	3,157.7	133,241.0	195.1	1,078.5	-91.6	192.9	120,281.4
იტალია	-3,624.6	-931.5	-272.8	1,349.7	1,200.1	263.5	1,405.4
ლატვია	4,154.3	2,289.7	4,672.3	5,397.8	1,913.9	2,438.6	1,308.4
ლიეტუვა (ლიტვა)	956.3	3,983.7	1,021.1	234.8	24.2	393.3	865.4
ლუქსემბურგი	50,136.0	68,838.8	22,772.4	34,929.4	7,462.5	7,843.2	4,024.8
მალტა	25,095.8	1,201.4	45,932.9	-2,244.5	10,173.3	4,530.0	8,376.4
ნიდერლანდები	211,615.0	92,916.8	206,759.1	138,296.5	32,789.9	44,787.4	47,751.6
პოლონეთი	2,871.6	3,615.6	1,272.6	7,156.1	5,245.7	1,948.4	1,457.3
პორტუგალია	19.0	-154.5	-	646.6	288.9	373.6	1,016.1
რუმინეთი	607.1	278.6	124.4	283.3	1,587.7	172.4	-2.8
სლოვაკეთი	3,651.8	1,937.0	16,626.8	-5,917.3	90.5	-185.7	-424.0
სლოვენია	887.4	1,184.4	-6.2	34.2	-20.4	-5.2	-11.5
ესპანეთი	-3,487.3	-3,058.9	2,937.1	14,407.9	196,059.3	1,609.7	165,948.0
შვედეთი	1,070.7	4,706.6	7,697.6	4,483.8	-1,275.6	-112.9	-372.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარდა საქართველო მნიშვნელოვან თანხებს ევროკავშირისგან სამთავრობო დახმარების სახით იღებს. ევროკავშირი საქართველოს მთავარი დონორია. გრანტებს და გრძელვადიან შეღავათიან კრედიტებს გვაძლევს, როგორც უშუალოდ ევროკავშირი (როგორც ინსტიტუტი), ასევე მისი წევრი ქვეყნების მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - EBRD).

EBRD საქართველოში 1994 წლიდან ახორციელებს თავის საქმიანობას. EBRD-ის მთლიანმა ინვესტიციებმა დაახლოებით 4,6 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო 2016-2021 წლების განმავლობაში ინვესტიციების მოცულობა 1,5 მლრდ ევროს აღემატებოდა, რაც ქვეყანაში EBRD-ის ჩართულობის მეტად გააქტიურების შესაძლებლობებზე მიუთითებს. საქართველოში ბანკის მოღვაწეობის სტრატეგიული მიმართულებებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა და მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs) მდგრადი ფინანსური სექტორი მდგრადი ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური მომსახურება ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგია. EBRD-ი ასევე სულ უფრო მეტად

ამახვილებს ყურადღებას ეკონომიკურ ჩართულობაზე, მათ შორის, ინფრასტრუქტურაზე, ფინანსებსა და უნარებზე უკეთეს წვდომაზე. Covid19-ის პანდემიის დაწყების დღიდან, ბანკი მიზნობრივ ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს EBRD-ის სოლიდარობის პაკეტის მეშვეობით, რათა დაეხმაროს კლიენტებს კრიზისის ზეგავლენის დაძლევაში.

EBRD-მა საქართველოში 703 მლრდ ევრო გამოყო მწვანე ეკონომიკის დასაფინანსებლად ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის რომელსაც EBRD უწევდა საკონსულტაციო დახმარებას, შესაბამისად აღნიშნულმა ღონისძიებამ გაზარდა დასაქმება და უფრო პროდუქტიული გახდა ბიზნესი.

ენერგოდანაზოგები გაანგარიშებებით, ინვესტიციები 20 მილიონზე მეტ პირველად ენერგიას დაზოგავს წელიწადში, რაც 450,000 შინამეურნეობის წლიური ენერგიის მოხმარების ექვივალენტურია. მეტი სუფთა ჰაერი EBRD-ის ინვესტიციებმა წვლილი შეიტანა წელიწადში 1.4 მილიონზე მეტი CO2-ის ემისიის შემცირებაში. ეს ქვეყნის გზებზე 300,000-ზე მეტი მანქანის მოძრაობიდან ამოღების ექვივალენტურია.

ამასთან EBRD ხელს უწყობს უკეთეს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, მხარდაჭერა შეასმჩნევია ამბიციურ მწვანე ქალაქის პროგრამებში (თბილისი და ბათუმი) და EBRD-ი აფინანსებს მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბანკის პოლიტიკის დიალოგი მოიცავს ინვესტორთა საბჭოს, კაპიტალის ბაზრების განვითარებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ან საჯარო და კერძო პარტნიორობებს. EBRD-ს მიერაა დაფინანსებული ისეთი პროექტები როგორიცაა როგორიცაა ელექტრო ავტობუსები ბათუმისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის მოდერნიზაციის დაფინანსება ან DCFTA-თან შესაბამისობის ხელშეწყობა. კლიმატის ღონისძიებების სპეციალიზებული დაფინანსება ასევე სულ უფრო ცენტრალურ ადგილს იკავებს ბანკის მუნიციპალურ და ენერგეტიკულ პროექტებში.

EBRD მხარს უჭერს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას მეტი ინოვაციების, გაძლიერებული დამატებითი ღირებულებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან და ვალდებულებებთან დაახლოების გზით. EBRD განსაკუთრებულ მხარდაჭერას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესს მიზნობრივი საკრედიტო ხაზების და ფლაგმანი საკონსულტაციო და უნარების განვითარების პროგრამების მეშვეობით. ესენია სამრჩევლო დახმარების გაწევა მცირე ბიზნესისთვის (ASB), პროგრამა - ქალები ბიზნესში (WiB), და Blue Ribbon პროგრამა. EBRD ეხმარება საქართველოს საუკეთესო მარეგულირებელი პრაქტიკის დანერგვაში და საინვესტიციო კლიმატის გაძლიერებაში.

ინოვაციური ფინანსური პროდუქტები EBRD-მ საქართველოში უმსხვილესი ჯანდაცვის სერვისის პროვაიდერის მიერ გამოშვებულ ქართულ ლარში დენომინირებულ პირველ უზრუნველყოფილ კორპორატიულ ობლიგაციებში 20 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა.

ჰიდროენერგეტიკის წყალობით, საქართველოს მშპ-ში CO2 ინტენსივობა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. კერძო სექტორის ძლიერი ინტერესი ჰიდრო რესურსებისადმი განპირობებულია თანმიმდევრული რეგულირების პოლიტიკის ტრანსფორმაციით, მათ შორის, მიმდინარე ელექტროენერგიის ბაზრის ლიბერალიზაციით. თუმცა, თერმული წარმოებისთვის გაზის სუბსიდიები დაღმავალ ზეწოლას ქმნის საბოლოო სამომხმარებლო ტარიფებზე და უარყოფითად ზემოქმედებს ელექტროენერგიის სხვა წყაროების ბაზარზე. შედეგად, ჰიდროენერგეტიკის გარდა განახლებადი წყაროები თითქმის არ არსებობს, მიუხედავად უზარმაზარი პოტენციალისა, მაშინ როცა ელექტროენერგიის გამომუშავების მუდმივი ზრდა ვერ ეწევა მზარდ მოხმარებას, რომელიც გაორმაგდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. ამან საქართველო ელექტროენერგიის წმინდა იმპორტიორად აქცია. შესაბამისად, მიწოდება-მოთხოვნის სხვაობა იზრდება.

EBRD ასევე მხარს უჭერს განახლებად ენერგეტიკაში ინვესტიციების გაფართოებას და სტიმულირებას: ქარის ენერგიის ხელშეწყობა, მაგალითად, გორის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და პრივატიზების დაფინანსების და 50 მგვტ-მდე სიმძლავრის მზის ენერგიის აუქციონზე რეალიზაციის მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვით.

EBRD-ის მხარდაჭერით საქართველომ მიიღო ახალი ენერგოეფექტურობის კანონები. მოსალოდნელია, რომ მათი ამოქმედება საშუალებას მისცემს საქართველოს დაზოგოს ენერგიის მოხმარება 14 პროცენტით 2025 წლისთვის, რაც დაეხმარება ქვეყანას შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში და გაზარდოს მისი ენერგეტიკული უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. ენერგოეფექტურობის გაზრდა EBRD-ის ენერგოეფექტურობაზე მიმართულმა ძალისხმევამ ხელი შეუწყო 2016-2019 წლებში საქართველოს მშპ-ს ენერგო ინტენსივობის 9 პროცენტით შემცირებას. ახლა ეს მაჩვენებელი მსოფლიო და რეგიონულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. მეტი სუფთა ჰაერი EBRD-ის ინვესტიციები საქართველოში, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს წელიწადში 1,397,000 ტონაზე მეტი CO2- ის ემისიების შემცირებას. ეს უდრის 300 000-ზე მეტი მანქანის ქვეყნის გზებიდან ამოღებას. EBRD-ის ჩართულობამ საქართველოს ენერგეტიკული სექტორის დერეგულაციასა და რეაბილიტაციაში გზა გაუხსნა არა-ჰიდრო, განახლებადი ენერგიის პროექტებსაც, როგორიცაა გორის ქარის ელექტროსადგური, პირველი კომერციული ქარის ელექტროსადგური მთელი კავკასიის რეგიონში. **(EBRD, 2021)**

კვლევის შედეგები

ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში არასტაბილური დინამიკით ხასიათდება. 2017 წელს ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, თუმცა შემდგომი წლების მაჩვენებლები სტაბილური კლებით ხასიათდება. განსაკუთრებული ვარდნით გამოირჩევა 2018 და 2019 წლები, როცა დაახლოებით 1/3-ით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა 2014 წელთან შედარებით. შესაბამისად, საინვესტიციო შემოდინებების კლება ჯერ კიდევ კორონავირუსის გამოჩენამდე დაიწყო, 2020 წელი და პანდემია კი მთელი მსოფლიოსთვის და, შესაბამისად საქართველოსთვისაც, დამატებითი საინვესტიციო გამოწვევებით აღინიშნა. საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლით, ზიანი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას Covid-19-ის გავრცელებამ მიაყენა, მძიმე ნეგატიურ გავლენას იქონიებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზეც. 2020 წლისთვის მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მინიმუმ 30%-ით შემცირებას პროგნოზირებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). ინვესტიციები კიდევ უფრო მეტად შემცირდება განვითარებად ქვეყნებში. კიდევ უფრო მძიმე შედეგებს ვარაუდობს გაერო, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30-40% შემცირებას ელოდება. სექტორების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 208%-ით შემცირდება ენერგო და ნედლეულის მწარმოებელ სექტორში, 116%-ით ავიაციის სექტორში და 47%-ით ავტო ინდუსტრიაში. ეს მოცემულობა კიდევ უფრო ზრდის კონკურენციას ინვესტიციების საერთაშორისო ბაზარზე. საქართველოს ხელისუფლებას დიდი ძალისხმევის გაწევა მოუწევს, რომ საინვესტიციო გარდატეხა მოახდინოს და ისედაც შეზღუდული უცხოური საინვესტიციო რესურსების ქვეყანაში მოზიდვა შეძლოს. რა ფაქტორები ქმნის ხელსაყრელ გარემოს ინვესტიციებისთვის? - პირველ რიგში სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კერძო საკუთრების დაცულობა, სამართლიანი სასამართლო, ხელსაყრელი საგადასახადო რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, კორუფციის დაბალი დონე და ის განსაკუთრებულობა, რომელიც კონკრეტულად ქვეყანას შეუძლია შესთავაზოს ინვესტორს. ამ ყველაფერში, ცხადია, უკანასკნელი ადგილი არ უკავია მსოფლიო საინვესტიციო ბაზარზე შექმნილ კონიუნქტურას. **(KAS, 2020)**

საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას სძენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან, დსთ-ს ქვეყნებთან, თურქეთთან, ჩინეთსა და ჰონგ-კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულთან) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის

არარსებობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც დამატებით ღირებულებას სძენს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს. თუმცა, აქაც გარკვეულ წინაღობებს ვაწყდებით, რაც ნაკლებად განვითარებული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურით არის განპირობებული, რასაც ემატება საკვანძო სატრანსპორტო/ ტრანზიტული მნიშვნელობის პროექტის - ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის შეჩერება. **(Ministry of finance of Georgia, 2008-2022)**

საქართველოს გააჩნია პოტენციალი კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ ჰაბად იქცეს, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. ქვეყნის სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პოტენციალი ამ ეტაპზე სრულად ათვისებული არ არის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით კი ამ ორ ფაქტორს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ქვეყნები, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ პირობებსა და ეფექტურ სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურას, ახერხებენ მოიზიდონ კომპანიები, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენენ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველომ მაქსიმალურად სწრაფად აუწყოს ფეხი მსოფლიო ტენდენციებს და საკუთარი ნიშა დაიკავოს მსოფლიო სატრანსპორტო - ლოჯისტიკურ რუკაზე, რითაც დამატებით საინვესტიციო მიმზიდველობას შესძენს ქვეყანას ამასთან, გარდა ხსენებული ფაქტორებისა და სექტორული გამოწვევებისა, საერთაშორისო დონორები და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, განსაკუთრებით კორონავირუსის ეპოქაში, ასახელებენ ორ ძირითად ფაქტორს: ინვესტორების დაცვა კანონმდებლობით და გამართული სასამართლო სისტემა. ზუსტად ამ ორ ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა პიტერ ვიბლერმა „ანალიტიკასთან“ ინტერვიუში და აღნიშნა, რომ „პირველი: ინვესტორები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათი ინვესტიცია დაცულია და არსებობს პერსპექტივა რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი ბიზნესი გაიზრდება და ისინი აქედან მოგებას ნახავენ, და მეორე: ინვესტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ თუ რაიმე ტიპის სამართლებრივი პრობლემა წამოიჭრება ან სამართლებრივი დავა გახდება საჭირო - ქვეყანაში არსებობს ძლიერი სასამართლო სისტემა, რომელიც პატივს სცემს საკუთრების უფლებას და კანონის უზენაესობას“. **(Economic Policy Research Center, 2020)**

ეს ფაქტორები, რა თქმა უნდა არ წარმოადგენს სრულ ჩამონათვალს, თუმცა ასახავს ძირითად მიმართულებებს, რაც საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია და ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას სჭირდება. ამისთვის კი ყოველწლიურად უფრო მეტი ინვესტიცია უნდა შემოვიდეს, ვიდრე ბოლო წლებში შემო-

დიოდა და არსებულ გამოწვევებზე უნდა მოხდეს მყისიერი რეაგირება, ინვესტორთათვის უფრო ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შეთავაზების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით შემცირდა ტურიზმის სექტორში, სადაც 2021 წელს კლება 76%-ს შეადგენს. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა ინვესტიციები ტრანსპორტის სექტორში - 76%-ით, უმნიშვნელოდ, თუმცა ლოგიკურია, რომ გაიზარდა ინვესტიციები ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სექტორში (ზრდა 3%). ზემოაღნიშნული ორი სექტორი - ტურიზმი და ტრანსპორტი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საინვესტიციო პოტენციალის მქონე დარგებია, თუმცა პანდემიის ნეგატიურმა ეფექტმა ეს სექტორები ყველაზე მეტად დააზარალა.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, რომელიც მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ინვესტიციების მოსაზიდად. საქართველოს აქვს შემდეგი უპირატესობები:

- საქართველოს ბუნებრივ, გეოგრაფიული კლიმატური პირობები;
- მზარდი ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- საგადასახადო და საბაჟო შეღავათები;
- თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი;
- ღრმა და ყოვლიმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ევროკავშირთან;
- საერთაშორისო ბიზნეს რეიტინგებში პოზიციები გამყარება.

დასკვნები

ყოველივე ზომოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით არ უნდა შეჩერდეს რეფორმების გატარება. ასევე კრიტიკულად აუცილებელი ნაწილია ახალი რეფორმის დაწყების, ან თუნდაც უკვე ინიცირებულის დაჩქარების პროცესი. მნიშნელოვანია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა - მათ შორის უკვე მომზადებული კანონის "საინვესტიციო ფონდების შესახებ" დამტკიცება და გადახდისუუნარობის კანონპროექტის შემუშავება, რაც გარდა ინვესტიციების მოზიდვისა, გაზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის წვდომას საინვესტიციო ფონდებზე და ფინანსურ რესურსებზე.

მომსახურების სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობა. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა 5G-ზე გადასვლის დაჩქარება, რაც სტიმულს მისცემს ადგილობრივ და უცხოურ სტარტაპებს განახორციელონ ტექნოლოგიებზე და ინოვაციებზე დაფუძნებული ბიზნეს პროექტები.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპზე იქნება დაფუძნებული. აღნიშნულ გარემოებას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ასახელებენ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებიც.

მართალია განათლების სისტემის გაუმჯობესება შედარებით გრძელვადიან შედეგებზეა ორიენტირებული, თუმცა მისი რეფორმირებისა და თანამედროვე შრომის ბაზარის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გარეშე წარმოუდგენელი იქნება საქართველოს სამომავლო საინვესტიციო პერსპექტივების წარმატებული პოზიციონირება. შესაბამისად, განათლების სისტემა მუდმივად უნდა იყოს ორიენტირებული უზრუნველყოს მომავალი თაობის კვალიფიკაციის მაღალი დონე.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ექსპერტულ წრეებში აქტიურად განიხილება მოსაზრება ახალი კორონავირუსის გამოწვევების დამატებით შესაძლებლობებში გარდაქმნის შესახებ. სწორედ აღნიშნულ შესაძლებლობებზე საუბრობს პროფესორი ფრენსის ფუკუიამა თავის ბოლო სტატიაში, რომელიც ჟურნალ „ამერიკულ ინტერესში“ გამოქვეყნდა: „ზოგადად შეერთებულმა შტატებმა და სხვა ლიბერალურმა დემოკრატიებმა ჩინეთზე დამოკიდებულების შემცირება უნდა დაიწყონ. პანდემიამ აჩვენა, რომ ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ჩინეთის მრეწველობაზე დამოკიდებულება კრიტიკულად მაღალ ნიშნულზეა. დღევანდელ მსოფლიოში უამრავი ადგილი მოიძებნება, სადაც მრეწველობის გადატანა შეიძლება, ფასის ფაქტორის გარდა დროა დავფიქრდეთ სანდოობაზე და მდგრადობაზე, რომელთა უზრუნველყოფა დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოდელებში უკეთესად ხერხდება“. ამ თვალსაზრისით კი საქართველოს ნამდვილად წარმატებულად შეუძლია პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე, რასაც ხელს უწყობს პანდემიასთან ბრძოლაში და კრიზისების მართვის კუთხით არსებული შედეგებიც. **(Konrad Adenauer Foundation, 2020)**

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, როგორც კი პანდემიამ თავისი მარწუხები მცირედით შესუსტა, ეკონომიკის ყველა სექტორში შეიმჩნევა დადებითი ძვრები, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული ხასიათდება ზრდის დინამიკით, თუმცა ეს არ უნდა გადაიზარდოს ზედმეტ ოპტიმიზმში და მთავრობა თავისი თანმიმდევრული მწყობრი ნაბიჯებით სტიმულირება უნდა გაუწიოს ევროპის სხვა ქვეყნებს თანხების აკუმულირება და ინვესტირება მოახდინონ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელიც თავის მხვრივ დადებითი ეფექტის მატარებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] აბულაშვილი, გ. & არაბიძე, მ. (2021). სახელმძღვანელო მითითებები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერგიის მოწყობილობების მიწოდებაში. 1-60. https://unece.org/sites/default/files/2021-04/Report_COVID-19_GEORG_08_April_2021_Tbilisi.pdf

[2] თოთლაძე, ლ. & ხუსკივაძე, მ. (2020) Covid-19-ის გავლენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე, თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2020konf.pdf

[3] კონრად ადენაუერის ფონდი. & ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. (2020). COVID – 19 - ის ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები. 1-16. https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/covid_and_investment.pdf

[4] მეცხვარიშვილი, ს. (2019). მსოფლიო ბანკი ინვესტიციების შემცირებაზე „საქართველო კუნძული არ არის“. https://www.bm.ge/ka/article/msoflio-banki-investiciebis-shemcirebaze-quotsaqartvelo-kundzuli-ar-arisquot/35570/

[5] მსოფლიო ბანკი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წმინდა შემოდინება (2022). https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?end=2020&start=-1970&view=chart

[6] რიჟვაძე, გ. (2019). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, როგორც ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა (სამაგისტრო ნაშრომი). 1-86. ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი.

[7] რიჟვაძე, გ. & ბერიძე, ლ. (2019). ინვესტიციების როლი ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში. ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია: ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემები თანამედროვე პირობებში, ბათუმი. 50-54.

[8] საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, Georgia Primed for Investment 2022წ. https://www.ifc.org/wps/wcm/connect/news_ext_content/ifc_external_corporate_site/news+and+events/news/georgia-primed-for-investment-ka

[9] საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ოფიციალური ვებ-გვერდი. https://www.imf.org/en/home

[10] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2022-2025 წლებისათვის. https://www.mof.ge/5439

[11] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2022წ. https://www.geostat.ge/ka/modules/categories-/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

[12] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მშპ და ეკონომიკური ზრდა (2008-2022). https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

[13] სიხარულიძე დ., ჭარაია ვ. (2018). OLI პარადიგმა და საქართველოს საინვესტიციო პოზიცია, გლობალიზაცია და ბიზნესი, 5(1): 71-78.

[14] EBRD საქართველოში შედეგების მიმოხილვა 2016-2021. file:///F:/USER/Downloads/georgia-snapshot%20(5).pdf

[15] Georgia Country Strategy 2021-2026 Approved by the Board of Directors on 8 December 2021. file:///F:/USER/Downloads/Georgia%20Country%20Strategy%20-%20ENG.pdf

[16] Tiyambe Zeleza, P., & Mzee Okanda, P. (2021). Enhancing the Digital Transformation of African Universities: Covid-19 as Accelerator. Council for the Development of Social Science Research in Africa (CODESRIA), 19(1): 1-28.

[17] Tsinaridze, R., & Makharadze, N. (2023). The role of foreign direct investment in the national economy and correlation analysis. science, business, innovation in digital economy, ACCESS Press, 4(1): 71-84. https://doi.org/10.46656/access.2023.4.1(4)

[18] Tsinaridze, R. & Beridze, D. (2018). Investment environment challenges and foreign direct investments in Georgia, Proceedings of the III International Scientific Conference Globalization Challenges in Business and Economy. 482-488. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. https://dspace.tsu.ge/handle/123456789/442 .

References

[1] Abulashvili, G.; & Arabidze, M. (2021). Guidelines and best practice examples for micro, small and medium enterprises in the provision of energy efficient products and renewable energy devices. 1-60. Available at: https://unece.org/sites/default/files/2021-04/Report_COVID-19_GEORG_08_April_2021_Tbilisi.pdf

[2] EBRD in Georgia Results Review 2016-2021. Available at: file:///C:/Users/User/Downloads/georgia-snapshot.pdf

[3] Georgia Country Strategy 2021-2026 Approved by the Board of Directors on 8 December 2021. Available at: file:///F:/USER/Downloads/Georgia%20Country%20Strategy%20-%20ENG.pdf

[4] International Finance Corporation. "Georgia Primed for Investment 2022". Available at: https://www.ifc.org/wps/wcm/connect/news_ext_content/ifc_external_corporate_site/news+and+events/news/georgia-primed-for-investment-ka

[5] International Monetary Fund. (2020). Official website. Available at: https://www.imf.org/en/home

[6] Konrad Adenauer Foundation (KAS). & Economic Policy Research Center (EPRC). (2020). "The Era of COVID-19 and Investment Prospects". Available at: https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/covid_and_investment.pdf

[7] Ministry of Finance of Georgia. "The Government of Georgia, the country's main data and directions for 2022-2025". Available at: https://www.mof.ge/5439

[8] Ministry of finance of Georgia. "GDP and Economic Growth (2008-2022)". Available at: https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

[9] Mechvarishvili, S. (2019). World Bank on the reduction of investments „Georgia is not an island". Available at: https://www.bm.ge/ka/article/msoflio-banki-investiciebis-shemcirebaze-quotsaqartvelo-kundzuli-ar-arisquot/35570/

[10] National Statistical Service of Georgia. "Foreign direct investments in Georgia 2022" Available at: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

[11] Rizhvadze, G. (2019). Foreign direct investments in Georgia as an opportunity for economic growth in (Master's thesis). Tbel Abuseridze Teaching University.

[12] Rizhvadze, G. & Beridze, L. (2019). The role of investments in relation to the national product in 2019. National scientific conference: problems of competitiveness of national products in modern conditions. 50-54, Shota Rustaveli State University.

[13] Sikharulidze, D., & Charaia, V. (2018). OLI Paradigm and Investment Position of Goergia. science Globalization and Business 5(1), 71-78.

[14] The World Bank. "Foreign direct investment, net inflows (BoP, current US$)". (2022). Available at: https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?end=2020&start=1970&view=chart

[15] Totladze, L. & Khuskivadze, M. (2017). The impact of Covid-19 on the dynamics of foreign direct investment, Modern Economy, Economic Science and Pandemic Problems of Economy: The Challenges and Ways of Finding Solution, Proceedings of Materials of International Scientific Conference, Dedicated to the 115th Birth Academician Paata Gugushvili.

[16] Tsinaridze, R., Makharadze, N. (2023). The role of foreign direct investment in the national economy and correlation analysis. science, business, innovation in digital economy, ACCESS Press, 4(1),: 71-84. https://doi.org/10.46656/access.2023.4.1(4)

[17] Tsinaridze, R. & Beridze, D. (2018). Investment environment challenges and foreign direct investments in Georgia, Proceedings of the III International Scientific Conference Globalization Challenges in Business and Economy. 482-488. Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Available at: https://dspace.tsu.ge/handle/123456789/442 .

[18] Tiyambe Zeleza, P., & Mzee Okanda, P. (2021). Enhancing the Digital Transformation of African Universities: Covid-19 as Accelerator. Council for the Development of Social Science Research in Africa (CODESRIA), 19(1), 1-28.